

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17
2017 წლის 5 მაისი

ქ. ჭიათურა

„ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 თებერვლის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე,

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 თებერვლის №1 დადგენილებაში (სსმ, 07/02/2017, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.129.016214) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი №1).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ზაზა ჯოხაძე

დანართი №1

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი თავი I

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი შემდეგი სახით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	17176,403	17655.347	4389.168	13266.179	14435,829	3158,910	11276,919
გადასახადები	1111,865	3699.388	0.000	3699.388	3270,000	0.00	3270,000
გრანტები	11672,954	11196.468	4389.168	6807,300	8346,086	3115,610	5230.476
სხვა შემოსავლები	4391,584	2759.491	0.00	2759.491	2819,743	43.300	2776,443
ბარჯები	10042,279	11404.475	294.162	11110.313	9782,868	247.400	9453.468



შრომის ანაზღაურება	1743,056	2094.208	0.000	2094.208	1944,000	90.00	1854.000
საქონელი და მომსახურება	518,209	570.204	3.780	566.424	598,721	30.0	568.721
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.000	0.000	0.000	0.000	0.00	0.00	0.00
პროცენტი	0.000	0.000	0.000	0.000	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	5567,218	6067.996	0,000	6067.996	5801.300	100.00	5701.300
გრანტები	782,309	818.462	0,000	818.462	51,450	0.00	51,450
სოციალური უზრუნველყოფა	1051,043	1161.042	0.00	1161.042	916.900	27.400	889.500
სხვა ხარჯები	380,444	692.563	290.382	402.181	470.497	0.00	470.497
საოპერაციო სალდო	7134,124	6250.872	4095.006	2155.866	4652,961	2911,510	1741,451
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6187,974	7064.522	4129.257	2935.265	5710,483	3125,561	2584,922
ზრდა	6309,834	7164.018	4129.257	3034.761	5745,483	3125,561	2619,922
კლება	121,860	99.496	0.000	99.496	35.000	0.00	35.000
მთლიანი სალდო	946,150	-813.650	-34.251	-779.399	-1057,522	-214.051	-843,471
ფინანსური აქტივების ცვლილება	771,891	-867.136	-37.551	-829.585	-1131,665	-219.642	-912,023
ზრდა	771,891	0.000	0.000	0.000	31,0	0.00	31,0
ვალუტა და დეპოზიტები	771,891	0.000	0.000	0.000	0.00	0.00	0.00
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.000	0.000	0.000	0.000	0.00	0.00	0.00
სესხები	0.000	0.000	0.000	0.000	0.00	0.00	0.00
აქციები და სხვა კაპიტალი	0.000	0.000	0.000	0.000	31,0	0.00	31,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.000	0.000	0.000	0.000	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.000	0.000	0.000	0.000	0.00	0.00	0.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.000	0.000	0.00	0.000	0.00	0.00	0.00



ვალდებულებების ცვლილება	-174,259	-53.486	-3.300	-50.186	-74.143	-5.591	-68.552
ზრდა	0.000	0.000	0.000	0.000	0.00	0.00	0.00
საგარეო	0.000	0.000	0.000	0.000	0.00	0.00	0.00
საშინაო	0.000	0.000	0.000	0.000	74.143	5.591	68.552
კლება	174,259	53.486	3.300	50.186	0.00	0.00	0.00
საგარეო	0.000	0.000	0.000	0.000	0.00	0.00	0.00
საშინაო	174,259	53.486	3.300	50.186	74.143	5.591	68.552
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება შემდეგი სახით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	17298,263	17754.843	4389.168	13365.675	14470,829	3158,910	11311,919
შემოსავლები	17176,403	17655.347	4389.168	13266.179	14435,829	3158,910	11276,919
არაფინანსური აქტივების კლება	121,860	99.496	0.0	99.496	35.000	0.00	35.000
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0,00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.00	0.00	0.00
გადასახდელები	16526,372	18621.979	4426.719	14195.260	15633,494	3378,552	12254,942
ხარჯები	10042,279	11404.475	294.162	11110.313	9782,868	247.400	9535,468
არაფინანსური აქტივების ზრდა	6309,834	7164.018	4129.257	3034.761	5745,483	3125,561	2619,922
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	31,0	0.00	31,0
ვალდებულებების კლება	174,3	53.5	3.3	50.2	74.143	5.591	68.552
ნაშთის ცვლილება	771,891	-867.136	-37.551	-829.585	-1162.665	-219.642	-943.023



მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 14435829 ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	17176,403	17655.347	4389.168	13266.179	14435,829	3158,910	11276,919
გადასახადები	1111,865	3699.347	0.00	3699.388	3270.000	0.00	3270.000
გრანტები	11672,954	11196.468	4389.168	6807,300	8346,086	3115,610	5230.476
სხვა შემოსავლები	4391,584	2759.491	0.00	2759.491	2819,743	43.300	2776,443

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები შემდეგი სახით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1111,865	3699.347	0.0	3699.347	3270.000	0.00	3270.000
საშემოსავლო გადასახადი		734.036		734.036	850.000	0.00	850.000
ქონების გადასახადი	1111,865	2965.352	0.0	2965.352	2420.000	0.00	2420.000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	75,650	1170.844	0.0	1170.844	1165.000	0.00	1165.000
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	9,633	5.204	0.0	5.204	5.00	0.00	5.00
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	8,465	123.054	0.0	123.054	100.000	0.00	100.000
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1018,117	1666.250	0.0	1666.250	1150.000	0.00	1150.000
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.00	0.00	0.00
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.00	0.00	0.00

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8346086 ლარის ოდენობით:

	2015 წლის	2016 წლის ფაქტი		2017 წლის გეგმა	
			მათ შორის		მათ შორის



დასახელება	ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	
			საკუთარი შემოსავლები	საკუთარი შემოსავლები			
გრანტები	11672,954	11196.468	4389.168	6807,300	8346,086	3115,610	5230.476
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0,00	20.135	20.135	0,00	5.176	0,00	5.176
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	11672,954	11176.333	4369.033	6807,300	8340,910	3115,610	5225.300
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	7549.800	6807,300	0.00	6807,300	5457,300	232.00	5225.300
გათანაბრებითი ტრანსფერი	7317.800	6575,300	0.00	6575,300	5225,300	0.00	5225,300
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	232.0	232.0	0.00	232.0	232.00	232.00	0.00
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	4123,154	4369.033	4369.033	0.0	2883,610	2883,610	0.00
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	3131,810	3500.525	3500.525	0.0	2540.000	2540.000	0.00
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	991,344	868,508	868,508	0.0	0.00	0.00	0.00
მაღალმთიანი განვითარების ფონდი	0.0	0.00	0.00	0.0	343,610	343,610	0.00
სკოლების რეაბილიტაცია	0.0	0.00	0.00	0.0	0.00	0.00	0.00
სხვა პროექტები	0.0	0.00	0.00	0.0	0.00	0.00	0.00

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2819743 ლარის ოდენობით:

დასახელება	2015წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	4391,584	2759.491	0.0	2759.491	2819,743	43.300	2776,443
შემოსავლები საკუთრებიდან	3890,853	2521.862	0.0	2521.862	2019.500	0.00	2019.500
პროცენტები	156,495	60.525	0.0	60.525	70.00	0.00	70.00
დივიდენდები	0.0	2.894	0.0	2.894	3.000	0.00	3.000



რენტა	3734,358	2458.443	0.0	2432,800	1946.500	0.00	1946.500
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	3687,521	2427.718	0.00	2427.718	1925.000	0.00	1925.000
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,211	1.889	0.00	1.889	1.500	0.00	1.500
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	45,526	28.836	0.00	28.836	20.000	0.00	20.000
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	143,784	87.370	0.0	87.370	656,943	0.00	656,943
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	143,784	87.370	0.0	87.370	656,943	0.00	656,943
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0.0	0.0	0.00	0.0	0.00	0.00	0.00
სანებართვო მოსაკრებელი	44,262	15.284	0.00	15.284	2.00	0.00	2.00
სახელმწიფო ბაჟი	0.0	0.0	0.00	0.0	0.00	0.00	0.00
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.003	0.067	0.00	0.067	0.00	0.00	0.00
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,0	0.4	0.00	0.4	0.00	0.00	0.00
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	50,541	38.665	0.00	38.665	616,943	0.00	616,943
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არილის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	0.0	0.0	0.00	0.0	0.00	0.00	0.00
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0.0	0.0	0.00	0.0	0.00	0.00	0.00
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	47,978	32.954	0.00	32.954	38.00	0.00	38.00
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0	0.00	0.0	0.00	0.00	0.00
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.00	0.00	0.00
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0.0	0.0	0.00	0.0	0.00	0.00	0.00
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	0.0	0.0	0.00	0.0	0.00	0.00	0.00
ჯარიმები, სანქციები და საურავები	336,509	133,0	0.00	133,0	100.00	0.00	100.00
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.0	0.0	0.00	0.0	0.00	0.00	0.00
შერეული და სხვა							



არაკლასიფიცირებული შემოსავლები	20,438	0.0	0.00	0.0	43.300	43.300	0.00
--------------------------------	--------	-----	------	-----	--------	--------	------

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9782868 ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	10042,279	11404.475	294.162	11110.313	9782,868	247.400	9535,468
შრომის ანაზღაურება	1743,056	2094.208	0.000	2094.208	1944,000	90.00	1854.000
საქონელი და მომსახურება	518,209	570.204	3.780	566.424	598,771	30.0	568,721
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.000	0.000	0.000	0.000	0.00	0.00	0.00
პროცენტი	0.000	0.000	0.000	0.000	0.00	0.00	0.00
სუბსიდიები	5567,218	6067.996	0,000	6067.996	5801.300	100.00	5701.300
გრანტები	782,309	818.462	0,000	818.462	51.450	0.00	51.450
სოციალური უზრუნველყოფა	1051,043	1161.042	0.00	1161.042	916.900	27.400	889.500
სხვა ხარჯები	380,444	692.563	290.382	402.181	470.497	0.00	470.497

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5710483 ლარის ოდენობით; მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5745483 ლარის ოდენობით შემდეგი რედაქციით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	61,277	594,743	249.779
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	20.530	0.00
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5485,243	6420,472	5074,604
04 00	განათლება	611,233	712,255	421.100
03 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	152,081	104,503	0.00
	სულ ჯამი:	6309,834	7852,503	5745,483

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 35000 ლარის ოდენობით:

--	--	--	--	--



დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	121,860	99,496	35.0
ძირითადი აქტივები	52,160	37,427	35.0
მატერიალური მარაგები	1,795	28,452	0.00
ფასეულობები	0.0	0.00	0.00
არაწარმოებული აქტივები	67,905	0.00	0.00
მიწა	67,905	33,617	0.00
სხვა ბუნებრივი აქტივები	0.0	0.00	0.00

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი სახით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი სულ	2016 წლის ფაქტი სულ	2017 წლის გეგმა სულ
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2333,4	3232.0	2870,2
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2333,4	3232.0	2870,2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2333,4	3232.0	2770,2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	100.0
70113	საგარეო ურთიერთობები	0.0	0.0	0.0
7012	საგარეო ეკონომიკური დახმარება	0.0	0.0	0.0
70121	ეკონომიკური დახმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს	0.0	0.0	0.0
70122	საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება	0.0	0.0	0.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	0.0
70131	საერთო საკადრო მომსახურება	0.0	0.0	0.0
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება	0.0	0.0	0.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0.0	0.0	0.0
7014	ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები	0.0	0.0	0.0
7015	გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	0.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	0.0



7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	0.0	0.0	0.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	107,8	134.6	120.5
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	329,8	0.0	0.0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	329,8	0.0	0.0
7033	სასამართლოები და პროკურატურა	0.0	0.0	0.0
7034	სასჯელადსრულების დაწესებულებები	0.0	0.0	0.0
7035	გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	0.0	0.0	0.0
7036	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	4315,9	5050.6	4437,5
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0.0	0.0	0.0
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა	0.0	0.0	0.0
70412	შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0.0	0.0	0.0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	0.0	0.0
70421	სოფლის მეურნეობა	0.0	0.0	0.0
70422	სატყეო მეურნეობა	0.0	0.0	0.0
70423	მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	0.0	0.0
7043	სათბობი და ენერგეტიკა	0.0	0.0	0.0
70431	ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი	0.0	0.0	0.0
70432	ნავთობი და ბუნებრივი აირი	0.0	0.0	0.0
70433	ბირთვული საწვავი	0.0	0.0	0.0
70434	სხვა სახის საწვავი	0.0	0.0	0.0
70435	ელექტროენერგეტიკა	0.0	0.0	0.0
70436	არაელექტრული (მზის, ქარის, წყლის) ენერჯია	0.0	0.0	0.0
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	0.0	0.0	0.0
70441	მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა	0.0	0.0	0.0
70442	გადამამუშავებელი მრეწველობა	0.0	0.0	0.0
70443	მშენებლობა	0.0	0.0	0.0



7045	ტრანსპორტი	4152,0	4757.5	4294,9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3948,4	4569.5	4141,9
70452	საზღვაო ტრანსპორტი	0.0	0.0	0.0
70453	სარკინიგზო ტრანსპორტი	0.0	0.0	0.0
70454	საჰაერო ტრანსპორტი	0.0	0.0	0.0
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	203,6	188	153.0
7046	კავშირგაბმულობა	0.0	0.0	0.0
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0.0	0.0	0.0
70471	ვაჭრობა, მარაგების შექმნა, შენახვა და დასაწყობება	0.0	0.0	0.0
70472	სასტუმროები და რესტორნები	0.0	0.0	0.0
70473	ტურიზმი	0.0	0.0	0.0
70474	მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები	0.0	0.0	0.0
7048	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში	0.0	0.0	0.0
70481	გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში	0.0	0.0	0.0
70482	გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში	0.0	0.0	0.0
70483	გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში	0.0	0.0	0.0
70484	გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში	0.0	0.0	0.0
70485	გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში	0.0	0.0	0.0
70486	გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში	0.0	0.0	0.0
70487	გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში	0.0	0.0	0.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	163,9	293.1	142,6
705	გარემოს დაცვა	1211,8	1334.4	1061.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამამუშავება და განადგურება	1049,4	1252.0	1041.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	162,4	82.4	20.0
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	0.0	0.0	0.0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	0.0	0.0	0.0
7055	გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1414,2	1328.0	961,6



7061	ბინათმშენებლობა	201,8	437,3	191,5
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0
7063	წყალმომარაგება	26,6	115,1	361,7
7064	გარე განათება	26,2	15,2	115,5
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	0,0	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1159,7	760,4	293,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	110,8	120,4	116,0
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	0,0	0,0	0,0
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	0,0	0,0	0,0
70712	სხვა სამედიცინო პროდუქცია	0,0	0,0	0,0
70713	თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები	0,0	0,0	0,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	0,0	0,0	0,0
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	0,0	0,0	0,0
70722	სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება	0,0	0,0	0,0
70723	სტომატოლოგიური მომსახურება	0,0	0,0	0,0
70724	საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება	0,0	0,0	0,0
7073	საავადმყოფოების მომსახურება	0,0	0,0	0,0
70731	ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება	0,0	0,0	0,0
70732	სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება	0,0	0,0	0,0
70733	სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება	0,0	0,0	0,0
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	0,0	0,0	0,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	110,8	120,4	116,0
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3280,8	3693,8	2460,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1239,9	1398,5	922,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1836,6	2035,9	1390,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0,0	0,0	0,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	204,4	259,5	148,0
7085	გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,0	0,0	0,0



7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	0.0	0.0
709	განათლება	2198,7	2097.5	2591.1
7091	სკოლამდელი აღზრდა	2198,7	2097.5	2590.4
7092	ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.7
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	0.0	0.0	0,0
70922	საბაზო ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0.0	0.0	0,7
7093	პროფესიული განათლება	0.0	0.0	0.0
7094	უმაღლესი განათლება	0.0	0.0	0.0
70941	უმაღლესი პროფესიული განათლება	0.0	0.0	0.0
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება	0.0	0.0	0.0
7095	უმაღლესისშემდგომი განათლება	0.0	0.0	0.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0.0	0.0	0.0
7097	გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში	0.0	0.0	0.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0.0	0.0	0.0
710	სოციალური დაცვა	1049,0	1152.9	910.4
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	570.5	700.0	435.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	570.5	700.0	435.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	45,3	38,3	50.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	179,5	232.9	180.0
7105	უმუშევართა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	90,4	74.4	110.0
7108	გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	163,7	107.3	135.4
	სულ	16352,1	18568.5	15528,4



მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 1057522 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 1131665 ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 31000 ლარის ოდენობით.
3. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1162665 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელის დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 13. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 232,0 ათასი ლარი მიიმართოს:
 - ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 100,0 ათასი ლარი;
 - ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 120,0 ათასი ლარი;
 - გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარი;
 - დ) დევნილთა სოციალური დაცვა 7.0 ათასი ლარი.
2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური დაცვა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ჭიათურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ჭიათურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2.0. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა



პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ახალი/მეორეხარისხოვანი გზების, სასოფლო გზების და შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება საბაგირო გზის დაფინანსება.შეკეთდება მოაჯირები.

2.1.1. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ჭიათურაში აბაშიძის ქ№17-ში №3 საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის, თეატრის მიმდებარე ტერიტორიის და თეატრის ზემოთ მისასვლელი გზის, თორღვაშვილის ქ№1, 3, 5. ჭავჭავაძის ქ.№16, იაშვილის ქ.№2, 16, 23 და თხელიძის ქ. დამაკავშირებელი გზა, ჩაჩანიძის ქ.№9-ის შესასვლელი, კოსტავას ქუჩის შესასვლელი, ქუთაისის ქუჩა, თბილისის ქუჩა, თბილისის ქ.№6, წმინდა გერმანეს ქ.№3, ნოკოპოლის ქუჩიდან კერძო სახლებთან მისასვლელი, გოგებაშვილის ქ.№33, 35, 43, 45 გზებისა, ტოლსტოის, ქუთაისის, 9 აპრილის ქ. №30, 30ა, 18, 20, 32-ში მდებარე სახლების, რუსთაველის ქ. №21-ში მდებარე სახლის შიდა ეზოების სარეაბილიტაციო და საპროექტო სამუშაოები. აგრეთვე განხორციელდება იაშვილის, ტოლსტოის, თორღვაშვილის, აღმაშენებლის და ნიკოპოლის ქუჩის გზების ორმული დამუშავება. დაგეგმილია ქვაციხის გზატკეცილი-ჯვარიეწერის საავტომობილო გზის, სოფლების მეჩხეთურის, ჩხირაულის, ტყემლოვანის და მღვიმევის საავტომობილო გზის აღდგენის საპროექტო სამუშაოები. დაგეგმილია ასევე სოფლების: ზოდი - სამხარაძეების უბნის ჩასახვევის გზის, ნიგოზეთში ბლუაშვილების, კუპატაძეების, ლაბაძეების, ჩახტიების, ტატუნიშვილების, ასანიძეების, ცონცრების, წყალშავი - კახელიშვილებისა, სოფელ ითხვისში ყიფშიძეების უბნის გზის და უსახელოში ოქროსუბანის გზის მობეტონება. სოფელ მანდაეთში ივანაშვილების უბნის გზის მობეტონება. დაგეგმილია სოფლების ქბილარის, მერვეი-გუნდაეთის, ჭილოვანის, სალიეთის, ქვედა ბერეთისის (წითელი ეკლესიიდან მისასვლელი) ჯოყოეთისა და მსხლოვანის ჩასასვლელის, აგრეთვე სოფლების: რცხილათის, ხრეთის (სპარიეთის უბნის), მერვეის, ღვითორი-მელუშეთის საავტომობილო გზების მობეტონების საპროექტო სამუშაოები.

აგრეთვე დაგეგმილია ტროტუარების მოწყობის საპროექტო სამუშაოები ჭავჭავაძის ქუჩაზე თეატრის გასწვრივ, ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში და აბაშიძის ქუჩაზე.

რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელდება მემორიალი-რგანი-ხრეთის, ჭიათურა-ხვაშითის, სოფ. სარქველეთუბნის, ქვაციხის გზატკეცილი-ვაჭევის, ქვაციხის გზატკეცილი-ჯვარი-ეწერის, საჩხერის გზატკეცილი-ზოდის და კოპიტები - ნიგოზეთის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. გათვალისწინებულია მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან მემორიალი-რგანი-ხრეთის საავტომობილო გზის თანადაფინანსება.

2.1.2. საგზაო ნიშნების დამონტაჟება და მაგისტრალური მონიშნითი სამუშაოები, საგზაო ბარიერების მოწყობა და სხვა სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფეხით მოსიარულეთა კიბეებისა და მოაჯირების აღდგენა ჩაჩანიძის, თბილისის, აღმაშენებლის, ქუთაისის ქუჩებზე და მოაჯირის მოწყობა აბაშიძის ქუჩაზე. აგრეთვე დაგეგმილია საგზაო ნიშნებისა (მუნიციპალიტეტის შემოსასვლელებში) და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნების დამონტაჟება.

2.1.3. მილსადენი და სხვა სახის სპეციალური ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 03 01 03)

ვინაიდან ჭიათურა წარმოადგენს მთა-გორიან ადგილს, მოსახლეობის გადაადგილებისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს საბაგირო გზა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შპს „ჭიათურბაგირგზების“ დაფინანსება.



2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, განხორციელდება საყრდენი კედლის აღდგენა და საბინაო ამხანაგობების დაფინანსება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება და ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა.

2.2.1 წყალმომარაგება (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები ნიგოზეთის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალ სოფელ უსახელოში.

2.2.2. სანიაღვრე არხები (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სანიაღვრე არხების აღდგენა ნაგუთის დასახლებაში.

2.2.3. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, სანიაღვრე არხების გაწმენდა, სკვერებისა და გარე განათების მოვლა-შენახვა. ასევე მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში გზების თოვლისგან გაწმენდა.

მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ „ჭიათურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრის“ დაფინანსება.

2.2.4. საყრდენი კედლის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ჭიათურის მთა-გორიანი მდებარეობის გამო მოსახლეთა ტერასული დასახლებიდან გამომდინარე საყრდენი კედლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საცხოვრებელი თუ ინფრასტრუქტურული ობიექტების შეკავებისათვის. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საყრდენი კედლის აღდგენა კუპატაძის აღმაშენებლის, ტყაბლაძის, მუხაძის, აღმაშენებლის და საბჭოს ქუჩებზე. აგრეთვე დაგეგმილია გოგებაშვილის, წმ.გიორგის, ცხოვრებაძის, სოფლებში გუნდაეთში და სალიეთში საყრდენი კედლების მოწყობის საპროექტო სამუშაოები და სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება.

2.2.5. მუნიციპალიტეტის ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენა ქალაქის ტერიტორიაზე შემდეგ ქუჩებზე: ბარათაშვილის ქ.№16-ის მეორე სადარბაზო, იაშვილის ქ.№16-ის პირველი სადარბაზო, 9 აპრილის ქუჩა №32 და №18, აღმაშენებლის ქუჩა №69-ის პირველი სადარბაზო, იაშვილის ქ.№8-ის პირველი სადარბაზო, ნიკოპოლის ქუჩა №8. აგრეთვე დაგეგმილია გიორგაძის ქუჩა №6-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის გადამაგრებითი სამუშაოების თანადაფინანსება, გიორგაძის, ტაბიძის, ცხოვრებაძის და საჩხერის



გზატკეცილის მრავალსართულიანი სახლების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება და ნინოშვილის ქუჩის გადანომვრითი სამუშაოების პროექტირება.

2.2.6. გარე განათების აღდგენა (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე-განათების მოწყობა ქალაქის ტერიტორიაზე დარჩენილი ქუჩებისა, ჩიხების და ხიდების. დაგეგმილია ნინოშვილის, ჩაჩანიძის, აბაშიძის, წმ. გერმანეს და ცხოვრებაძის ქუჩებზე დიოდური განათების მოწყობის საპროექტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოეწყობა დეკორატიული განათება ნინოშვილის ქუჩაზე.

2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობა.

2.3.1. მწვანე ნარგავების განაშენიანება, სკვერების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში ძელსკამების მოწყობა. აგრეთვე განხორციელდება ნაგუთის დასახლებაში სკვერის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები.

3.0. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა საჯარო სკოლის იმ მოსწავლეებს, რომლებმაც ვერ დასძლიეს სასწავლო პროგრამა.

3.1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“, რომელიც აერთიანებს 24 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1640-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაგეგმილია №5, 6, 8, 9, 10, 11 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და სოფლების დარკვეთისა და წირქვალის საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება.

3.2. ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ქ.ჭიათურის მეხუთე საჯარო სკოლის ორ მოსწავლეს სასწავლო ვაუჩერის შესავსებად.

4.0. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარებასთან ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული



სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გატარდება ღონისძიებები.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება და დაფინანსდება:

- ა) ა(ა)იპ №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა;
- ბ) ა(ა)იპ რაგბის სპორტული სკოლა;
- გ) ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა;

4.1.1. სპორტული ობიექტების დაფინანსება (პროგრამის კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსება რომელიც აერთიანებს ძიუდოს, კრივის, მინი ფეხბურთის, ტაეკვანდოს, მძლეოსნობის, ცურვის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფარიკაობის, კლასიკური ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის და ჭადრაკის სპორტულ წრეებს, სადაც გაერთიანებულია 555 სპორტსმენი. საკუთარი შემოსავალი განისაზღვრება აბონოქმენტებიდან და ბილეთებიდან (საცურაო აუზი) რომლითაც ძირითადად ფინანსდება ოფისის, სამედიცინო და სხვა ხარჯი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება რაგბის სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 108 სპორტსმენს. ყველა ხარჯს აფინანსებს მუნიციპალიტეტი;

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა, სადაც ვარჯიშობს 220-მდე ბავშვი.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. 2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- ა) სსიპ ჭიათურის სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრი,
- ბ) ა(ა)იპ №1 მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 310-მდე მოსწავლე;
- გ) ა(ა)იპ №2 მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 174-მდე მოსწავლე;
- დ) ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა. სადაც სწავლობს 35-მდე მოსწავლე;
- ე) ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა;

4.2.1. კულტურის ობიექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია №1 და №2 სამუსიკო სკოლების დაფინანსება, სადაც მუსიკალურ განათლებას იღებს 484 ბავშვი, აქედან: სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები 146 მოსწავლე, ლაურეატი 107 მოსწავლე, მრავალშვილიანი 60 მოსწავლე, ობოლი 14 მოსწავლე და ლტოლვილი 15 მოსწავლე განთავისუფლებულნი არიან სწავლის ქირის გადასახადისგან. სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს 15 ლარს თვეში. საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება



ხელფასი, ოფისის და სხვა ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა, სადაც სამხატვრო განათლებას იღებს 35 ბავშვი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ბიბლიოთეკის ქსელი, რომელიც მოიცავს 7 ბიბლიოთეკას.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჭიათურის სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-მემოქმედებითი ცენტრი, რომელიც აერთიანებს სამუსიკო და საცეკვაო წრეებს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, მომღერალთა გუნდებს. ცენტრის საკუთარი სახსრებით ფინანსდება ხელფასი და ოფისის ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასის, ოფისის და სხვა მიმდინარე ხარჯი.

4.3. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება პატრიოტთა ბანაკებში ბავშვების მგზავრობის ხარჯები, ინტელექტუალურ-მემოქმედებითი ღონისძიებები, დასვენება და მკურნალობა გამაჯანსაღებელ ბანაკებში, სპორტსმენთა დაჯილდოვება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, დამსახურებული პედაგოგების დაჯილდოვება, ესტრადის მომღერალთა კონცერტის დაფინანსება.

4.4. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

5.0. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

